N 50
12.03.2024 წ.

საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება

მისამართი: ქ. თბილისი, ქუჩა წყალსადენი, N 53-ს მიმდებარედ;
საკადასტრო კოდი: 01.11.04.028.173;
ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება;
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო;
ფართობი: 1485.00კვ.მ;
მესაკუთრე (ები) : შპს"ESS" , ID ნომერი:404935816

2024 წლის 05 მარტს შპს"ESS"-ის , ID ნომერი:404935816, მომართვის საფუძველზე ექსპერტ მზია ჯიქიას მიერ შესწავლილი იქნა, საკადასტრო კოდი: 01.11.04.028.173, მიწის ნაკვეთზე არსებული **15** ძირი ხე-მცენარის ზოგადი ფიზიკური მდგომარეობა, რომელიც მოცემულია ცხრილში. (N 1)

მწვანე ნარგავების სახეობრივი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები

ცხრილი N 1

N	მცენარის სახეობა	D დიამეტრი 10 სმ-ზე	H სიმაღლე (მ)	მდგომარეობა	შენიშვნა
1	თელა ჩვეულებრივი (Ulmus foliacea)	52.5	7	საღი	ორკაპა
2	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens f. horisontalis)	37.5	6	საღი	
3	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens f. horisontalis)	22.5	7	საღი	
4	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens f. horisontalis)	25.5	8	საღი	
5	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens f. horisontalis)	36.5	9	საღი	
6	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens f. horisontalis)	36.5	8	საღი	
7	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens f. horisontalis)	35.5	9	საღი	
8	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens f. horisontalis)	28.5	8	საღი	
9	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens f. horisontalis)	37.5	9	საღი	

შ.პ.ს. "ეკო გარემო"

10	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens f. horisontalis)	31.5	9	საღი	
11	თეთრი (ხვალო) ვერხვი (Populus alba)	84 - 62	12	საღი	ორკაპა
12	თეთრი (ხვალო) ვერხვი (Populus alba)	31.5	9	საღი	
13	მაყვალი (Rubus fruticosus)	1.5	1.0	საღი	ხილკენკროვანი, მრავალღეროიანი შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
14	მაყვალი (Rubus fruticosus)	1.5	1.0	საღი	ხილკენკროვანი, მრავალღეროიანი შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება
15	მაყვალი (Rubus fruticosus)	1.5	1.0	საღი	ხილკენკროვანი, მრავალღეროიანი შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება

ტერიტორიაზე არსებული 15 ძირი მცენარის ნუსხა სახეობების მიხედვით:

ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარე 3 ძირი, მათ შორის:

მაღალი ღირებულების ჯგუფის 1 ძირი:
- 1 ძირი თელა ჩვეულებრივი (Ulmus foliacea) N 1;

დაბალი ღირებულების ჯგუფის 2 ძირი:
- 2 ძირი თეთრი (ხვალო) ვერხვი (Populus alba) N11, 12;

დაბალი ღირებულების ჯგუფის 9 ძირი:
- 9 ძირი ჰორიზონტალურიკვიპარისი (Cupressus sempervirens f. horisontalis) N 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10;

ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარე 3 ძირი, მათ შორის:
- 3 ძირი მაყვალი (Rubus fruticosus) N 13, 14, 15;

ტერიტორიაზე აღრიცხული 15 ძირი ხე-მცენარე არის საღი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის N 11-58 დადგენილებით **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“**, (მუხლი 29, პუნქტი-5), მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/ გადარგვა არ საჭიროებს წერილობით ნებართვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაინტერესებული პირი

შპს "ეკო გარემო"

გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. ასეთის არსებობის შემთხვევაში, სხვა ჯანსაღ ხილ-კენკროვან მწვანე ნარგავებზე, ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი დიამეტრი აღემატება 12 სმ-ს.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ასევე მის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ ტეერიტორიაზე მწვანე ნარგავების გადარგვა ხორციელდება უფლებამოსილი ორგანოს წერილობითი ნებართვის საფუძველზე.

ხე-მცენარის ამოღება და გადარგვა

მცენარეები, რომელთა დიამეტრი არ აღემატება 25 სმ. დიამეტრს შესაძლებელია გადაირგოს როგორც ხელით, ასევე სპეციალური გადამრგველი მანქანით, ვინაიდან ხე-მცენარეები არის მცირე ზომის მათი გახარების ალბათობა საკმაოდ დიდია, ხოლო დიდტანიანი (25 სმ. დიამეტრზე მეტი) ხეების გადარგვა უნდა მოხდეს სპეციალური ტექნიკისა და გადამზიდავი მანქანა-დანადგარების საშუალებით,აქვე გასათვალისწინებელია, რომ ხის დიამეტრისა და სიდიდან გამომდინარე, ბუნებრივი არეალიდან ამოღებამ და სხვა ნიადაგში გადატანამ, შეიძლება გამოიწვიოს მისი ხმობა

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში, შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს მისი კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში, ხოლო დიდ ტანიანი ხეების კომს, ასევე უნდა გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია (ყუთი) ფიცრის ან სხვა მასალისაგან (კომი მთლიანად უნდა შეიკრას ყუთით), რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხე-მცენარის კომის შენარჩუნება ტრანსპორტირების პირობებში.

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე. სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20-25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ხის კომზე. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით, რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად.

სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით (დიდ ტანიანი ხეების შემთხვევაში ამწეს გამოყენებით), დარგვის დროს არ უნდა დაიშალოს მიწის კომი, არ დაზიანდეს მცენარის ღერო, ფესვთა სისტემა და ვარჯი.

ხის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს ფიქსირება რამდენიმე მხრიდან,რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად, ხის სიდიდიდან გამომდინარე. სარგავ ორმოში იყრება მიწის ნაზავი და იტკეპნება, ხოლო დარგული ხის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს მისი მულჩირება.
ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

წიწვოვანი ხეების გადარგვისას გასათვალისწინებელია ტოტების განლაგება მოხდეს ისე, როგორც იყო გადარგვამდე (ჩრდილოეთის მხარეს მდებარე ტოტები ისევ ჩრდილოეთით უნდა განლაგდეს).

ხე-მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა

ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდ იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში.
ხის გადარგვის შემდგომ, მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა კვირაში არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ.

თითოეული მცენარისათვის სარწყავი წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს (მორწყვის კალენდარი და ჯერადობა განისაზღვრება ინდივიდუალურად). მორწყვის საუკეთესო დროა- დილით 11-12 საათამდე და საღამოს- 6 საათის შემდეგ, ასევე უნდა ხდებოდეს მცენარის მიწისზედა ნაწილების დაწვიმება. (ფოთლები, წიწვები) დაწვიმებასთან ერთად შესაძლებელია მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შერევა წყალთან ერთად.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა ჩატარდეს სარწყავი ჯამების განახლება-გაფხვიერება, სარეველა ბალახებისგან გაწმენდა, ფოთლოვანი ხის ფესვის ყელიდან ამონაყარის მოცილება. ხის დარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეებზე დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები, სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე, (ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს დარგვიდან მესამე წელს. (შესატანი სასუქების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად). დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

ფოტო თან ერთვის

შ.პ.ს. „ეკო გარემო“-ს დირექტორი
შემსრულებელი/ექსპერტი / მ. ჯიქია /

შპს "ეკო გარემო"

ს/კ 402 020 308 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კ.N25,ბ.N142 მობ. ტელ: (+995) 595 90 71 71 Email: mziajikia@mail.ru, ecogaremo@gmail.com.

ქუჩა წყალსადენი, N 53-ს მიმდებარედ საკადასტრო კოდი: **01.11.04.028.173**









ქუჩა წყალსადენი, N 53-ს მიმდებარედ საკადასტრო კოდი: **01.11.04.028.173**









ქუჩა წყალსადენი, N 53-ს მიმდებარედ საკადასტრო კოდი: **01.11.04.028.173**









ქუჩა წყალსადენი, N 53-ს მიმდებარედ საკადასტრო კოდი: **01.11.04.028.173**







ქუჩა წყალსადენი, N 53-ს მიმდებარედ საკადასტრო კოდი: **01.11.04.028.173**





მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა

ADLI

THE BEST QUALITY

ქალაქი თბილისი, ქუჩა წყალსადენი, №53-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.11.04.028.173)
შპს "ESS"-ის (ს/ნ: 404935816) საკუთრებაში არსებული 1485 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ძ	საცხ. შენობა		ხის ღობე		წყალგაყვანილობა
ძა	არასაცხ. შენობა		ღობე	გ	გაზი
	ფარდული		ლითონის ღობე	კ	კანალიზაცია
	მშენებარე შენობა		ქვის კედელი	ხან	ხანიაღვრე
	წიწვოვანი ხე		კედელი	კშ	კავშირგაბმულობა
	ფოთლოვანი ხე		ფლატე		ელ. ქსელები
	ხილკენკროვანი მცენარე/ პალმა		რკინიგზა	თბ	გათბობა
	გარე განათება		სამეთვალყურეო ჭები		
			ელ. გადამცემი ხაზი		

შენიშვნა: 1) გეგმაზე დატანილია საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნაკვეთის საზღვრები

2) ვინადან გეგმაზე დატანილია მხოლოდ რეგისტრირებული მიწისქვეშა კომუნიკაციები მათი მდებარეობების დაზუსტება მოხდეს ყველა კომუნიკაციის წარმომადგენლებთან

ADLI

THE BEST QUALITY

შპს „ადლი“

საქართველო, ქ. ხაშური, განთიადის ქუჩა №20,
მობ: 598 10 96 56; 593 19 02 56

LtdAdli1@gmail.com

დირექტორი:		ა. ავანაშვილი
აზომა:		ა. ავანაშვილი
დახაზა:		ა. ავანაშვილი
მაშტაბი: 1:500	11/01/2024 წ.	



პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო შენობის განთავსების სავარაუდო კონტური
- საპროექტო ნაკვეთზე შემოსასვლელი გზის კონტური
- საფეხმავლო ბილიკი
- ხელუხლებელი ხე-ნარგავები
- მოსაჭრელი ხე-ნარგავები

R= 300

ნახაზის დასახელება:

შენობის განთავსების სქემა
მოსაჭრელი და შენარჩუნებული ხე-ნარგავები

ექსპლიკაცია:

პირობითი ნიშნები:

- ნაკვეთის საზღვარი
- ჭრილის ხაზი
- ±0.00 არსებული ნიშნული
- ±0.00 საპროექტო ნიშნული

შენიშვნები:

მისამართი:

ქ.თბილისი, ქუჩა წყალსადენი, N 53-ს მიმდებარედ;

საკ. კოდი: 01.11.04.028.173

პროექტის სახელწოდება

საწყობი

სტადია	პროექტი	არ
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	გ. ბენდელიანი	
არქიტექტორი	გ. ბენდელიანი	
არქიტექტორი	ი. გოგოხია	

საპროექტო ლოგო	მისამართი
BIJI ARCHITECTURE	ქ. თბილისი მ. შავიშვილის №1ა
	TEL: 595 55-35-74 599 75-28-88

თარიღი	2024 წ.	
ფორმატი	ფურცლები	მასშტაბი
A-3	A.01.2	1:300

ხელუხლებელი, გადასარგავი და მოსაჭრელი ხე ნარგავების ჩამონათვალი

შენიშვნა: 01.11.04.028.173 საკადასტრო ერთეულზე გვხვდება 15 ძირი ხე-მცენარე, რომელთაგან ადგილზე რჩება 12 ძირი, მოიჭრება - 3 ძირი.მოსაჭრელი 3 ძირი ხილ-კენკროვანია, წარმოგიდგენთ ხელუხლებელი და მოსაჭრელი ხე-მცენარეების ჩამონათვალს:

ხელუხლებელი (12 ძირი): #1, #2, #3, #4, #5, #6, #7, #8, #9, #10, #11, #12.

მოსაჭრელი (3 ძირი): #13, #14, #15.

მწვანე ნარგავების სახეობრივი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები

N	მცენარის სახეობა	D დიამეტრი 10 სმ-ზე	H სიმაღლე (მ)	მდგომარეობა	შენიშვნა	ჩასატარებელი ღონისძიება
1	თელა ჩვეულებრივი (Ulmus foliacea)	52.5	7	საღი	ორკაპა	რჩება ადგილზე
2	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens f. horisontalis)	37.5	6	საღი		რჩება ადგილზე
3	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens f. horisontalis)	22.5	7	საღი		რჩება ადგილზე
4	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens f. horisontalis)	25.5	8	საღი		რჩება ადგილზე
5	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens f. horisontalis)	36.5	9	საღი		რჩება ადგილზე
6	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens f. horisontalis)	36.5	8	საღი		რჩება ადგილზე
7	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens f. horisontalis)	35.5	9	საღი		რჩება ადგილზე
8	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens f. horisontalis)	28.5	8	საღი		რჩება ადგილზე
9	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens f. horisontalis)	37.5	9	საღი		რჩება ადგილზე
10	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens f. horisontalis)	31.5	9	საღი		რჩება ადგილზე
11	თეთრი (ხვალო) ვერხვი (Populus alba)	84-62	12	საღი	ორკაპა	რჩება ადგილზე
12	თეთრი (ხვალო) ვერხვი (Populus alba)	31.5	9	საღი		რჩება ადგილზე
13	მაყვალი (Rubus fruticosus)	1.5	1.0	საღი	ხილკენკროვანი, მრავალღეროიანი შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება	მოჭრა
14	მაყვალი (Rubus fruticosus)	1.5	1.0	საღი	ხილკენკროვანი, მრავალღეროიანი შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება	მოჭრა
15	მაყვალი (Rubus fruticosus)	1.5	1.0	საღი	ხილკენკროვანი, მრავალღეროიანი შესაძლებელია გადარგვა და მისი შემდგომი გახარება	მოჭრა